

## საქართველოს მიკროსაფინანსო ასოციაცია

### ეთიკისა და სოციალური ზემოქმედების კომიტეტის სხდომის ოქმი #6

22 სექტემბერი 2016 წელი. თბილისი.

#### კომიტეტის სხდომას ესწრებოდნენ კომიტეტის წევრები:

1. მალხაზ ძაძუა - მისო „კრისტალი“, კომიტეტის თავმჯდომარე.
2. გვანცა კიკალიშვილი - “ფინკა“ ბანკი
3. ნატა ლუდუშაური - მისო „კრედო“
4. ლაშა ხოფერია - მისო „თბილმიკროკრედიტი“
5. გიორგი გუგუშვილი - მისო „გირო კრედიტი“

#### კომიტეტის სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

1. იური ლებანიძე - ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი
2. ანა ნაფეტვარიძე - ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის ასისტენტი.

#### სხდომას თავმჯდომარეობდა: მალხაზ ძაძუა

#### დღის წესრიგი:

1. კომიტეტის წინა სხდომის ოქმის განხილვა;
2. შემოსული განცხადებების, საჩივრების, ინიციატივების განხილვა;
3. მიმდინარე სოციალური პროექტების/ინიციატივების შესახებ ინფორმაციის გაცვლა;
4. სხვა საკითხები.

#### **1) კომიტეტის წინა სხდომის ოქმის განხილვა.**

კომიტეტის წევრებმა მიმოიხილეს წინა სხდომის ოქმი (#5) დაფიქსირებული საკითხები და მათი შესრულების მიმდინარეობა.

შესრულებული რეკომენდაციები: ასოციაციის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია ცხელი ხაზისა და საჩივრების დაფიქსირების მექანიზმის შესახებ. ზოგიერთი მისო-ს ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია ასოციაციის ცხელი ხაზისა და ეთიკის კოდექსის შესახებ. ასევე ზოგიერთ მისო-ს გამოქვეყნებული აქვს სოციალური პასუხისმგებლობის ანგარიში.

შეუსრულებელი რეკომენდაციები: ასოციაციის ვებ-გვერდზე ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა კომიტეტის ოქმების ატვირთვა ტექნიკური მიზეზების გამო. მისო-ების უმრავლესობას არა აქვს თავის ვებ-გვერდზე განთავსებული ეთიკის კოდექსი და ასოციაციის ცხელი ხაზი. მისო-ების უმრავლესობას ასევე არა აქვს გამოქვეყნებული სოციალური პასუხისმგებლობის ანგარიში. არ არის მომზადებული ეთიკის კოდექსის შესრულების შესახებ ანგარიშები.

#### **2) შემოსული განცხადებების, საჩივრების და ინიციატივების განხილვა;**

კომიტეტმა იმსჯელა შემოსული განცხადებების და საჩივრების შესახებ, რომელიც განეკუთვნება მისი მოქმედების სფეროს. აღმასრულებელი დირექტორისა და ასისტენტის განცხადებით, ასოციაციაში არ შემოსულა არც ერთი საჩივარი მისი წევრი ორგანიზაციების მიმართ. თუმცა იყო ერთი ფაქტი, როდესაც იურისტთა ჯგუფმა დააფიქსირა პრეტენზია ერთ-ერთ რეგიონში არაქართულენოვანი მსესხებლებისთვის სესხის ხელშეკრულების მათ მშობლიურ ენაზე არარსებობის შესახებ.

კომიტეტმა იმსჯელა აღნიშნულის შესახებ და შეთანხმდა, რომ ეს უფრო არის იურისტების განხილვის საგანი და საჭიროა იურიდიულ კომიტეტში მოხდეს მისი განხილვა. ამასთან, კრედოს და კრისტალის წარმომადგენლებმა დააფიქსირეს, რომ მათ ოფისებში კლიენტისთვის მისაწვდომ ადგილას გამოკრულია სესხის ხელშეკრულების ნათარგმნი შაბლონები. შესაბამისად, ქართული ენის არცოდნა არ უნდა იყოს პრობლემა სესხის პირობების გასაგებად.

### **3) მიმდინარე სოციალური პროექტებისა და აქტივობების შესახებ ინფორმაციის გაცვლა:**

კომიტეტის წევრებმა გაცვალეს ინფორმაცია მიმდინარე სოციალური პროექტებისა და ინიციატივების შესახებ.

“კრისტალის” წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კომპანია უკვე მესამედ მონაწილეობს MFC-ს საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამაში „ისესხე გონივრულად“, ასევე მიმდინარეობს ახალგაზრდა მეწარმეთა სწავლების პროექტი.

„კრედოს“ და „ფინკას“ წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მათ კომპანიებში რეგულარულად ტარდება სხვადასხვა საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროგრამები. ფინკა ბანკმა ახლახან წარმატებით დაასრულა სმარტ-სერტიფიცირების პროცესი.

ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა აღნიშნა, რომ 2016 წლის ივლისში ბიაიჯიმ მოიწონა კლიენტის დაცვის Smart Campaign - ის 7 პრინციპი, რაც გულისხმობს კლიენტის ინტერესების მაქსიმალურ დაცვას. კომპანია აცხადებს მზაობას თავისი საქმიანობის ბიზნეს მოდელი მთავრად აღნიშნულ პრინციპებს და შედეგად მოიპოვოს Smart Campaign-ის სერტიფიკატი. სერტიფიკატის მოპოვება კი ხელს შეუწყობს კომპანიის მიმართ სანდოობის ზრდას და პასუხისმგებლიანი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეპუტაციის გაძლიერებას.

### **4) სხვა საკითხები**

კომიტეტის წევრებმა მოისმინეს 2 დამატებითი საკითხი:

4.1. „კრისტალის“ წარმომადგენელმა გააკეთა მოკლე ინფორმაცია გაეროს გლობალური შეთანხმების (UN Global Compact) შესახებ, რომელიც შეეხება პასუხისმგებლიანი ბიზნესის 10 ძირითადი პრინციპის მხარდაჭერას და ზოგადად პასუხისმგებლიანი ბიზნეს-სტანდარტების პოპულარიზაციას. „კრისტალი“, როგორც ქსელის მმართველი გამგეობის წევრი საქართველოში, მზად არის დაეხმაროს სხვა მისო-ებს მათი სურვილის შემთხვევაში ქსელში გაწევრიანებასა და აღნიშნულთან დაკავშირებით პროცედურების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე.

4.2. „თბილმიკროკრედიტის“ წარმომადგენელმა გააკეთა შეთავაზება 1 ან 2 დღიანი სემინარის ჩატარების შესახებ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის თემაზე, სადაც მიწვეული იქნებიან როგორც მისო-ები, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეები (ჟურნალისტები, ერ-ბანკი, იურისტ-ადვოკატები და ა.შ.). კომიტეტის წევრებმა მოიწონეს აღნიშნული ინიციატივა და თხოვეს იდეის ავტორს წარმოადგინოს აღნიშნული წინადადება კონკრეტული პროექტის სახით, სადაც მოცემული იქნება დეტალური სილაბუსი, ხარჯთაღრიცხვა, ლოჯისტიკური და სხვა მოთხოვნები. ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორს ეთხოვა ჩაატაროს მოკლე გამოკითხვა წევრ მისო-ებს შორის და დაადგინოს მათი სურვილი და მზაობა აღნიშნულ სემინარში მონაწილეობაზე.



სხდომის თავმჯდომარე: \_\_\_\_\_

მალხაზ ძაძუა

სხდომის მდივანი: \_\_\_\_\_

ანა ნაფეტვარიძე